წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

კვირა 28 მაისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

ბაზეთის ფასი:
წლი-რად. 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
თვიურათ 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
ღლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. ხაპი თვის შემდებ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე სტრიქონი ...
ღრს ... 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ... ერთი ორით ...

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ნ. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5 8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 39 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 39

დიმიტრი, ოლღა, მიშა, საშა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი უძვირფასესი შვილისა და მეორენი საყვარელი დის 5 კლასის მოწაფის კაუჩხაშვილის გიმნაზიისა

**მარუსია დიმიტრის ასულისა ებანოიძისა**

გარდაცვალებას. გარდაიცვალა 24 მაისს. დაკრძალვის დღე დანიშნულია 28 მაისს კვირას 3 საათზე დაბა ძირულაში საკუთარ სახლში.

გულ დამწვარი ძმები: ონისიმე, გიორგი და კონსტანტინე თომას ძენი, რძლები: —თამარა, თეკლე და ელისაბედი, ძმისწულები: დომინიკა, ილია, ვლადიმერი, ანდრია ანტონი თამარი ქორჟიკა და კაკო ტყეშელაშვილები, დისწულები: აგრაფინა, კალისტრატე, კოტე, ალიოშა და სერგო მოროძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას დაუვიწყარი ძმის და ბიძის

**დავით (დათიკო) თომას მეტყეშელაშვილისას**

გამოსვენება ქუთაისიდან სოფ. მაღლაკში დანიშნულია 25 ამ თვეს დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, (საკ. სახ. ჭავჭავაძის ქუჩა) დაკრძალვა მოხდება მაღლაკში 28 მაისს, დღით კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე, მაცხოვრის ეკლესიაზე. ცალკე წერილები არ დარიგდება.

სოფიო ონისიმეს ასული და ალექსანდრე პლატონის ძე გრიგოლაშვილები, ანა ონისიმეს ასული და გიორგი დავითისძე კილაძეები, ნინა ბესარიონის ასული და აკაკი დავითის ძე მარგიანები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უძვირფასესი ბიძის

**დავით (დათიკო) თომას მეტყეშელაშვილის**

უეცრათ გარდაცვალებას. 3—3

28 მაისს კვირას მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების გამო, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიის სადვთო სჯულის მასწავლებლის ტრაღიკულად გარდაცვალებული დეკანოზ

**მელიტონ მიხეილის ძის ცაგარეიშვილის**

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ღრმად დამწუხარებულნი ქვრივი მატრონა კირილეს ასულნი, შვილები: ნინო, ლიდა, არჩილ და დავით ცაგარეიშვილები.
წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. 1—1

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 25 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდებული სურათი

**უგონოების დაღი**

(ქალწულნი და ხალხს მიკლებულნი) ფსიქოლოგიური დრამა 5 ნაწ. კარინ ბრამსონის რომანის. ხუდოლეევისა და ფეხნერის მონაწ.

**ანონსი:** ორშაბათიდან 29 მაისიდან ახალი საუცხოვო პროგრამა

**გრიშკა რასპუტინის**

სიკვდილი დრამა 4 ნაწ. 1 სერია. 1 ნაწ. ცოდვის ჩადენა. 2 ნაწ. უბიწოების ნიღაბის ქვეშ. 3 ნაწ. ის, რაზედაც სდუმან. 4 ნაწ. გამცემის სიკვდილი.
კომედია 2 მოქ. **შეიკრიბეთ ქალებო!** კომედია 2 მოქ.

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 25 მაისიდან **საუცხოვო სურათი!**

**ვულკანის მქონე სველი ქალი**

(სიკვდილის ფრთების ქვეშ). დრამა 4 ნაწ. ლისენკოსი, გაიდაროვისა და ორლოვას მონაწ.

**სიყვარულის სტრატეგია**

სახუმარო.

**ანონსი:** ორშაბათიდან 29 მაისიდან ნაჩვენები იქნება ახალი საუცხოვო პროგრამა

**გრიშკა რასპუტინის**

სიკვდილი დრამა 4 ნაწ. 1 სერია 1 ნაწ. ცოდვის ჩადენა. 2 ნაწ. უბიწოების ნიღაბის ქვეშ; 3 ნაწ. ის, რაზედაც სდუმან, 4 ნაწ. გამცემის სიკვდილი.
მეიკრიბეთ ქალებო!

**ყურადღება!** ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

კვირას, 28 მაისს ქალაქის თეატრში გაიმართება

**საბავშო დილა**

შემდეგის პროგრამით:

**ალ-ქაჯები** პიესა ერთ მოქმედებათ.

ლექსები, მუსიკალური განყოფილება მაგაზინერის ხელმძღვანელობით.
ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი 11 ნახევარ საათზე.

# დ ღ ე ს:

**წერილები:**

დ. გურული—თავისუფლებაა თუ ძალადობა?.
ინ-ხანი—ქართველი გლეხი და ინტელიგენცია.
ს. ყიფიანი—სტოკჰოლმის კონფერენცია და არბიტრაჟი.
ი. იმერელი—მიმოხილვა.
ლ. მაჭავარიანი—მზით. (ლექსი).
გრ. ცეტერაძე—ეგნ. ნინოშვილის ხსოვნას.
მ. ბუაჩიძე—მამა ონოფრე შუშანია.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. უკანასკნელი ამბები. ეროვნული კითხვა. სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბავი.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ევიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



კვირას 28 მაისს გაიმართება 2 გრანდიოზული წარმოდგენები დღისით, დილის სიცილი საბავშო წარმოდგენა სრული საღამოის პროგრამით. დასაწყისი დღისით 1 საათზე. მონაწილეობას მიიღებენ:

გამოჩენილი ბელგიელთა დასი

**5 კლიკეტი**

ახალგაზდა ქალი ჟონგლერისა ჟენია და პატარა მსახიობი ქალი ლუსია, ალმოსავლეთის მხრის არტისტი ჩიფუ, მუსიკალური ორკესტრი პეტრაკოვების. მონაწილეობით. გაწვრთნილი ცხენები და სხვადასხვა ცხოველები. გამოსვლა ყველა ცირკის „კლოუნების“. ადგილის ფასები 25 კაპ. 1 მ. 50 კ. ლოჟა 6 მანეთი.
**საღამოს** გაიმართება საუცხოვო წარმოდგენა. გაგრძელება გასტროლებისა განთქმულ ბელგიელთა დასისა.

**5 კლიკეტი**

**გატსროლი**

**უძარღვო კაცი პრისტი**

და სხვადასხვა საუცხოვო პროგრამები ცირკის ხელოვნებიდან. წარმოდგენაში მონაწილეობენ მთელი დასი. 8 დღეა საერთაშორისო ჩემპიონ ქალთა ფრანგული ჭიდაობა. დღეს იჭიდავებს 3 წყვილი: 1. ვინ ვის? ძალა ხერხის წინააღმდეგ. მთელი ქვეყნის ჩემპიონი ქალი. რუმინეთისა და შვეციის ჩემპიონი ქალი აზელკროკა. 2. პოლონეთის ჩემპიონი ქალი იანკოვა და პრიბალტის მხრის ჩემპიონი ქალი რობოსტონი. 3. თურქესტნის ჩემპიონი ქალი სულეიმანი და ციმბირის ჩემპიონი ქალი სიბირიაჩკა. წარმოდგენის დასაწყისი 8 ნახევარ საათზე საღამოს. დასაწყისი ჭიდაობისა 10 საათზე.
**ანონსი:** ხვალ ორშაბათს 29 მაისს გაიმართება გრანდიოზული ბენეფისი 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად ცნობილი „კლოუნისა“ ა. პ. ალექსასი. თვალ-ყური ადევნეთ განცხადებებს.

## ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ კომიტეტის ნება დაურთველათ ქ. ქუთაისიდან შაქრის და პურის ფქვილის გატანა მიუხედავად რაოდენობისა აღკრძალულია. ქუთაისიდან გუბერნიაში შეიძლება უნებართვოთ გატანა: გამომცხვარი პურისა არა უმეტეს 10 გირვანქისა. ბუბლიკის, კრენდილის და ყველის არა უმეტეს 5 გირვანქისა.

ამ განკარგულების დამრღვევნი, გარდა იმისა რომ მათ უსასყიდლოთ ჩამოერთმევათ გასატანათ დამზადებული სანოვაგე, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი სისხლის სამართლის 29 მ-ს ძალით.

## თავისუფლებაა თუ ძალადობა?

ამას წინედ, ჩვენს გაზეთში (№ 32) წერილი მოვათავსეთ, სათაურით: „კომპეტენცია“: ეს წერილი იმით იყო გამოწვეული, რომ ახლა მოქმედებს ბევრი ძველი დაწესებულება და მასთან ახალიც, რევოლუციით გამოწვეული, და ვერ გაუგიათ ვერც ხალხს, და ვერც ზოგიერთ ორგანოებს, რომელ დაწესებულებას რა უფლება და მოვალეობა აქვს. იქ, სხვათა შორის, ვამტკიცებდით, რომ აღმასრულებელ კომიტეტს არა აქვს ნება სასამართლოის უფლება მიითვისოს.

ახლა მოგვდის იმისთანა ცნობები პროვინციიდან, რომელნიც გვაიძულებს, ერთხელ კიდევ ავიღოთ ხელში კალამი, რათა ეს საგანი, ცოტად თუ ბევრად, ნათელ ვჰყოთ. ირკვევა, სამწუხაროდ, რომ ზოგიერთი კომიტეტი არა თუ სამოქალაქო საქმეებს იღებს გასარჩევად, არამედ იმისთანა განჩინებებიც კი გამოაქვს, რომელნიც ხელს უშლიან რევოლუციის უმტკივნეულოდ დამთავრებას. მაგ, კომიტეტი ხშირად ერთსა და იმავე განაჩენს ადგენს: შეჰყვეს მოპასუხე მომჩივანს სამედიატრო სამართალში. შემდეგ ამ განჩინებას ხალხში თავისებურათ ხსნიან: თუ მოპასუხემ სამედიატორო სამართალი არ მიიღო, იმას „ბოიკოტს“ გამოუცხადებენო. მოვიყვანოთ რამოდენიმე ფაქტი.

ქუთაისის ოლქის სასამართლოში საქმე სწარმოებს. ერთ მხარეს უფიქრია, რომ იგი აქ საქმეს წააგებს, და მიქცეულა კომიტეტში. კომიტეტს დაუდგენია: შეჰყვეს მოპასუხე მომჩივანს სამედიატორო სამართალში.

ერთ ჭიათურელ მრეწველს ინჟენერ პაპავასთვის უჩივლია კომიტეტში მიწის თაობაზე. ბ-ნ პაპავას საბუთები წარუდგენია, საიდგანაც ცხადად სჩანდა, რომ ეს საქმე, რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, სასამართლოს გაურჩევია და განჩინებაც ძალაში შესულა. მიუხედავად ამისა, კომიტეტს დაუდგენია: დაევალოს ინჟ. პაპავას გაათავოს საქმე სამედიატრო სამართალით.

მეორე ფირმისთვის ფული უჩივლიათ კომიტეტში. ბ-ნ პერსინაკს (ფირმის წარმომადგენელს) განუცხადებია, რომ ეს ფირმა (ჰელზენკირხენის საზოგადოება) განსაკუთრებულ კომისიას აქვს გადაცემული სალიკვიდაციოთო და მეარა მაქვს უფლება ფირმის მაგიერ პასუხი ვაგოვო. კომიტეტს დაუდგენია: დაევალოს ბ-ნ პერსინაკს სამედიატორო სამართალში მიჰყვეს მომჩივანსო.

ამისთანა ფაქტები, ჩვენი ფიქრით, ხალხში ცუდ გავლენას იქონიებს. პირველად ის უნდა ვთქვათ, რომ აქ დაწესებულებათა კომპეტენცია ირღვევა: კომიტეტი არჩევს იმისთანა საქმეებს, რომელნიც მას გასარჩევად არ ეკუთვნის. ამას დიდი ქაოსი შეაქვს ჩვენს ცხოვრებაში, რომელსაც დღეს არევ-დარევა და უფრო გართულება კი არა, მშვიდობიანობა და წესიერება ეჭირვება. ახლა უნდა ვცდილობდეთ, რომ ყოველივე დაწესებულებამ თავთავისი უფლებით ისარგებლოს და თავთავისი მოვალეობა შეასრულოს. შინაგან საქმეთა მინისტრმა ლვოვმა დეპეშით ცირკულიარი გაუგზავნა გუბერნიების ყველა კომისარებს, რომელშიც, სხვათა შორის, ხაზ-გასმითაა ნათქვამი, რომ „ერთი ორგანოს უფლება მეორემ არ მიითვისოსო.“

მკითხველი მიაქცევდა ყურადღებას იმას, რომ კომიტეტებს ერთი და იგივე რეზოლუცია გამოაქვთ: დაევალოს მოპასუხეს სამედიატორო სამართალიო. ეს, რასაკვირველია, იმიტომ, რომ, კომიტეტების აზრით, სამედიატორო სამართალი უკეთესი ფორმაა მართლ-მსაჯულებისა. მედიატორული სამართალი, მართალია, კარგია, მაგრამ ერთ შემთხვევაში: როდესაც ორივე მხარეს სურვილი აქვს ამ წესით საქმე გაათავოს. მაგრამ, როდესაც კომიტეტი სწყვეტს: გინდა არ გინდა, უთუოთ მედიატორე ამოირჩიეთო,—ეს პირდაპირი ძალადობა არის, და ძალადობა კი არა თუ ახლა, ამ თავისუფლების ხანაში, ძველი რეჟიმის დროსაც დასაგმობი იყო.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი ყურადღებას აქცევს ამისთანა შემთხვევებს და შესაფერ დარიგებას აძლევს სხვა ქალაქების და დაბების კომიტეტს. მაგრამ ეტყობა, ზოგიერთ კომიტეტს ჯერ არ მისვლია ამისთანა დარიგება.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ კარგი იქნებოდა, ცირკულიარი გაეგზავნოს ყველა კომიტეტებს, სადაც ახსნილი და გამორკვეული იქნება, თუ რა უფლება აქვთ იმათ და რა მოვალეობა აწევთ. არ იქნებოდა ზედმეტი ამიერ-კავკასიის კომისარიატსაც გამოეცა ამისთანა ცირკულიარი.

და თუ ეს არ მოხდა ლა ზოგიერთი კომიტეტი თავის კალაპოტში არ ჩადგა, მაშინ სამწუხარო პერსპექტივა გადაგვეშლება წინ: გამოჩნდება, რომ ჩვენ საშინელ ანარქიას, ცხოვრების უფსკრულს დიდი სისწრაფით ვუახლოვდებით.

დ. გურული.

## ქართველი გლეხი და ინტელიგენცია.

დიდებულ მომენტს ყოველთვის დიდებული რეფორმები მოჰყვება ხოლმე, რეფორმები არსებითი და საფუძვლიანი. ეს კი მაშინ მოხდება, როდესაც გლეხის ცხოვრებას გაუმჯობესება დაეტყობა, რადგან გლეხი არის საფუძველი, მაცოცხლებელი ძალა სახელმწიფოსი თუ ერისა. თუ გლეხი აქამდის უმთავრესად ეკონომიურს ცხოვრებაში სჩანდა, ამიერიდგან იგი უკვე აქტიურ როლს ითამაშებს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ამიტომ ბუნებრივიც არის და აუცილებელიც, რომ ისტორიული ცხოვრების ახალმა წევრმა —გლეხმა, მეტი ყურადღება მიიზიდოს სწავლულთა მხრივ და შეიქნეს საგანი ღრმა და ყოველმხრივი შესწავლისა.

აშკარაა, რომ ეს შესწავლა ჩვენმა ინტელიგენციამ უნდა იდვას თავს და ამ შესწავლას უნდა შეუფარდოს კიდეც,

როგორც თვისი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობა, ისე თვისი პოლიტიკური მრწამსი, მრწამსი არა განყენებულ თეორიათა დოგმებზე აგებული, არამედ სოციალურ ცხოვრების ჭეშმარიტ მოვლენათა შესწავლაზე აშენებული.

ეს ნათელი აზრი განსაკუთრებით ქართველ ინტელიგენტს უნდა ახსოვდეს. ყველამ ვიცით, რომ ქართველი ინტელიგენტისთანა ფანტაზიორი და უნიადაგო არც ერთი ნაწილია ქართველი ერისა. მიზეზი, რა თქმა უნდა, მის ეროვნულად გადაგვარებაში უნდა ვეძიოთ. ამიტომაც არის სწორედ, რომ ქართველი ინტელიგენტი სრულებით ვერ იცნობს გლეხს და ისეთ რამეებს აჩრის მას მეტ წილად პირში, რომ განცვიფრებაში მოდიხარ.

საუკეთესო ილუსტრაცია ამ აზრისა ჩვენში არსებულ ზოგიერთ პარტიათა პროგრამა არის. დრო მოვა და დოგმატიზმის გარშემო სიცალიერე დარჩება, რადგან ბოლოს და ბოლოს გაიგებს ქართველი გლეხიც, რომ სოციალისტური მსოფლმხედველობა სრულებით არ შეეფერება მის ცხოვრებას.

ბევრი თქმულა და დაწერილა მიწის კითხვის გარშემო ჩვენშიც, მაგრამ ჯეროვნად მაინც ვერ გადაწყვეტილა. ქართველ ერს ძლიერი ინტელიგენცია ჰყავს, მაგრამ იგი სულიერადა და ფიზიკურადაც დაშორებულია გლეხის არსებასთან. მრავალი ჩვენი ინტელიგენტი-სოციალისტი გულუხვად ასაჩუქრებს მიწებს და დადის რიხიდაც გაიძახის, სიტყვიერად თუ პარტიულის პროგრამით, მიწა მიწის მუშასო, რა ეგოდენ ესაჭიროება ჩვენს გალატაკებულ და დამშეულ გლეხობას, მაგრამ გლეხი მაინც ვერ ეგუება ასეთ პროგრამებს; მის სულსა და გულში ვერ ჩასწვდა სოციალისტური მსოფლმხედველობა. რად ხდება ეს? ნუ თუ მარტო ის არის ამის მიზეზი, რომ გლეხი გონებრივად უფრო დაბალ საფეხურზე სდგას, ვინემ ინტელიგენტი? მაგრამ გერმანელი გლეხი ხომ მაინც შეგნებულია, ცხოვრებაში, გარკვეული, პოლიტიკურად მომწიფებული და ის მაინც ხომ ვერ გაუქანებია თავისაკენ სოციალისტებს? რუსის გლეხზე არას ვიტყვით, ვინაიდგან ისინი სულ სხვა პირობებში სცხოვრებენ ვინემ გერმანელი თუ ევროპიელი გლეხები საზოგადოთ. ჩვენი და რუსის გლეხის ცხოვრებაც ხომ არსებითად განსხვავდება. შესწავლილი აქვს თუ არა ჩვენს ინტელიგენციას ეს ცხოვრება?. ვგონებ არა, უკიდურეს შემთხვევაში არც სოციალიზაციას მიაწვდიდენ მას.

რათ მოხდა ეს? პასუხი იოლია. ქართველი ინტელიგენტის შეგნებისა და განვითარების პროცესი უცხოეთის ჭერ ქვეშ მოხდა და ამიტომაც შეითვისა მან უცხო აზროვნება. აშკარაა, რომ თავის ნააზროვნებს განაღდებასაც მოუნდომებს. იშვიათია ისეთი ქართველი ინტელიგენტი, გლეხთა მასაში, მის შუა გულში რომ შეჭრილიყოს, მისი ავლა-დიდება, სულისკვეთება, მსოფლმხედველობა, ზნეჩვეულება ადათები, ტრადიციები, მისი აზროვნება რომ შეისწავლოს, გამოუკვლიოს მეცნიერულად და ამის და მიხედავად მიეწოდებიოს მისთვის ესა თუ ის პროგრამა. ერთ პარტიას გერმანეთის ნიადაგზე აღმოცენებული მზა-მზარეული პროგრამა მოაქვს ჩვენთვის წამლად, მეორეს რუსეთისა და მესამე კიდევ ქართულად დაწერილ, რუსულიდან გადმოღებული პროგრამით მოდის ქართველ გლეხთან და ხიბლავს საჩუქრით.

ის კი დავიწყნია ყველას, რომ ქართველი გლეხი, თუ საზოგადოთ ქართველი, არ არის გერმანელი, არც რუსი, რომ ქართველი გლეხი უადრესად ქართველია და რომ მასაც ქართულად და საქართველოში აღმოცენებული მიწის კითხვის გადაჭრა ესაჭიროება. თუ ეს ვერ გაითვალისწინა ჩვენმა ინტელიგენტმა ყოველთვის და საქართველოს ყოველ კუთხეში საშინელი დამარცხებისათვის მზად უნდა იყოს.

ამ დამარცხების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მეტი სიფხიზლე მეტი შორსმჭვრეტელობა, მეტი შესწავლა ქართული, ადგილობრივი პირობებისა, გაგება იმისა, თუ რა სჭირია ქართველ გლეხს, რა აკლია მას და ამის და მიხედვით უნდა გადიჭრას მიწის კითხვაც.

ერთი გარემოება კი მუდამ სახსოვარია ჩვენი ინტელიგენციისათვის: ქართველი გლეხი უკიდურესი კერძო მესაკუთრე არის და მას რომ ვინმემ მიწის ჩამორთმევა დაუპიროს, ის სისხლის დაღვრასაც არ მოერიდება თვისი უფლების დასაცავად. მიწა არის მისი იმედი, მისი ზნეობრივად მასაზრდოებელი, გამკეთილშობილებელი, და ცხოვრების ფუძე. ქართველი გლეხი უკიდურეს ზომას მიმართავს, ცოლ-შვილს, მშობელ მხარეს სახლ-კარს სტოვებს და ქალაქად ფულის საშოვრად მიდის, რომ ამ ფულით შემდეგ მიწა შეიძინოს. ქართველ ინტელიგენტს უნდა ახსოვდეს, რომ გლეხს არაფრად ეპიტნავება მიწის განსაზოგადოებრივობა, სახელმწიფოს ხელში გადასვლა, რაგინდ პრივილეგიებით არ აღჭურვო იგი, თუ თვით არ იქნება ბატონ-პატრონი, მფლობელი მიწისა. ქართველი გლეხი ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ მას საკუთარი მიწა აღარ ექნება, რომ თვის საკუთრებას ის ლობეს ველარ შემოავლებს და ველარ იტყვის: აქიდან აქამდე მე ვფლობ ამ მიწასა ამდენი ქცევა მე მეკუთვნისო

ჩვენს პარტიებს უნდა ახსოვდეს და უნდა შეიგნონ, რომ გლეხმა თვით უნდა გადასწყვიტოს თვისი ბედი, რომ მიწის კითხვის გადაჭრა მარტო ინტელიგენციის საქმე არ არის, არამედ ამ კითხვის გარკვევაში ფართო მასამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ამისათვის საჭიროა არა მარტო გლეხის ცხოვრების შესწავლა, არამედ თვით შეგნება გლეხისა.

მხოლოდ ამნაირად გადაწყდება ესეთი დიდი და რთული კითხვა.

ქართველი ინტელიგენტის უახლოვესი მიზანი ეს უნდა იყოს. ის უნდა ჩაუკვირდეს გლეხის სულს, გულს, ის უნდა ჩასწვდეს გლეხის აზრს და ამის შემდეგ კი მივიდეს მასთან პროგრამებით. თეთრზე შავით ადვილად დაიწერების, მაგრამ კაბინეთებში შემუშავებულ განყენებულ აზრებით შორს ვერ წავალთ. ნუ აუცრუებთ გლეხს გულს უტოპიური მსჯელობით.

ჯერ თვით ვისწავლოთ, და შემდეგ სხვებს ვასწავლოთ, თვარა ის რაც დღეს სამოთხე გვგონია, ხვალ აუტანელ ჯოჯოხეთად მოგვევლინება.

**ინ-ხანი**

# ეგნატე ნინოშვილის ხსოვნას.

(გარდაცვალებიდან 23 წ. შესრულების გამო).

დაჩაგრული ერის ჩაგრულმა განთიადის წინამორბედო ეგნატე! დღეს შენს ობოლ სამარესთან შემოკრბენ შენი პატივისმცემელნი, რათა მოგილოცონ ის დიდებული დღე, რომლის რიჟ-რაჟის ტოროლაც შენ იყავ და რომლის გათენებასაც ნატრობდი. შენ ქართველ მშრომელთა ჯგუფის ცხოვრებაში ის შუქური ვარსკვლავი იყავი, რომელიც ჩაგრულთა გზის მანათობლად აციმციმდი მშობლიურ ცაზე და ნელ-ნელა გააშუქე უკუნით მოცული ბნელეთი, სადაც ლაღათ თარეშობდენ წყვდიადის მოტრფიალე ქვეწარმავალ-მალადურები უქმამ მკლავიძისა და და მოსე მწერლების სახით, რომელნიც წარამარა შხამავდნენ და თავიანთი გესლის მსხვერპლად ხდიდნენ შვლის ნუკრივით უცოდველ და გულუბრყვილო ქრისტიანებს, უმწიკვლო პატიოსან მშრომელ სპირიდონ მცირიშვილებს და ალალი შრომით მოლუკმპურე უიშვილ-მუნჯაძეებს. შენ იმ თავითვე უიშვილ-მუნჯაძეების ვექილობა აირჩიე ცხოვრების საგნად და უპატრონოთა საპატრონოთ ამეტყველდი. იმ თავითვე ჩაგრულ მშრომელთა დასარაზმათ აახმაურე შენი დიფი და ნაღარა, რაც ისე არ ეჭაშნიკა იმ მტარვალთა ბანაკს, ვისთან საომრადაც უხმობდი მათთან მუდამ დევნილთა და წამებულთ. დიდება შენს მკლავმაგრობას და ბრძოლის უნარს, რომ სრულიად ულაშქრომ გაბედვით და გულუდრკელად გაილაშქრე ლეგიონის წინააღმდეგ, რომელსაც თითქო საცილოდაც არ ყოფნიდა შენგან ომის გამოცხადება და რომელთანაც ბრძოლაში დახმარების მაგივრად თვით ისინი გიშლიდნენ ხელს და ფარ-ხმალს გიმალავდნენ, ვის დასაცავადაც იბრძოდი და ვისკენაც ნასროლ შხამიან ისრებსაც თავის გულმკერდს აფარებდი. ბარაქალა, მშრომელთა ჯგუფის სახელოვანო სარდალო, რომ ყოველი დაბრკოლება გადალახე და მტერი მაინც სასიკვდილოდ დასჭერი. ვაშა, მაგვარ ხასიათის სიმტკიცეს, რომ დაუხმარეთა დაუხმარებლად სიკვდილამდი მამაცურად იბრძოლე და მავნეთაგან ვნებულმა მტერს ლომივით შეაკვდი და ბრძოლისაგან კი აღარ უკუიქეცი!! ეს რჩეულთა იშვიათი ზნე არის, რაც სუყველა მომაკვდავსა არ ძალუძს!! შენ ბრძოლისთვის დაბადებული გმირი იყავი და გმირები კი მტრის ძალას არ ითვლიან!! შენ განხორციელებული ტანჯვა-წამება იყავი ჩვენებური გლეხკაცობისა და მშრომელთა ჯგუფის, რომლის ეკლიან გზის წმენდასაც შეალიე შენი ხან მოკლე, მაგრამ ხანგრძლივად ნაყოფიერი მოწამისებური სიცოცხლე და რომლის სამსხვერპლოზედაც სამშვიდობო ზვარაკად დაიწვი. სიცოცხლეში წამებულო, სამარეში გაიხარე, რომ შენგან დანაბნევმა საკეთო თესლმა სასურველი ნაყოფი გამოიღო, გაიხარე, რომ არ დაიკარგა ცრემლი შენგან დანადენი; წვეთ-წვეთად შეგროვდა, აღქაფებულ მდინარედ იქცა და მრისხანეთ დაეჯახა ბოროტების სათავეს, რომელიც სამუდამოთ შთანთქა თვის მორევთა უფსკრულში. დღეს ლუთუოდ ხარობს და ლიტანიობს შენი წმინდა ნეშთი, როდესაც ჩამოგესმის შენგან გზანაჩვენები მშრომელთა ჯგუფის სადღესასწაულო შვების ღიღინი და ხმაშეწყობილი ბრძოლის ყიჟინა; როდესაც გამოფხიზლებულმა დემოკრატიამ დაამტვრია ყოველგვარი მონობის ბორკილები და თამამათ ააფრიალა შრომისა და სამართლიანობის დროშა. დიდება შენს უკვდავ სახელს, დაუვიწყარო ეგნატე! დიდება იმ მშრომელთა კლასს, რომლის ჭირთამძლეობის უნარსაც ყოველივე უბედურების გადატანა შეუძლია და რომელიც დრო და დრო შენისთანა გულკაჟა მებრძოლი აღმოაცენებს. დიდება და დღეგრძელობა იმ ერს, რომლის ტრაგიზმით მოცულს ისტორიულ საშოსაც შენისთანა მებრძოლთა წარმოშობის შნო და უნარი არ დაუკარგავს, რათა დროზე გიორგი სააკაძეები, დროზე ეგნატე ნინოშვილები და დროზე არჩილ ჯორჯაძეები მიაწოდოს ისტორიას!! უკვდავოთ ნაშობო! არ მოკვდები შენ სანამ არ მოკვდება ქართველი ერი და ქართველი ერი რომ ვეღარ მოკვდება და მას თავისი მომავალი აქვს, ამისი უტყუარი ნიშნები უთვალავია.

**გრ. ცენტერაძე.**

# მიმოხილვა.

რუსეთის მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკულია. ,,აბოპოქრებულ'' ცხოვრებას დღევანდელმა საჯელმწიფო მოღვაწეებმა მესვეურობა უნდა გაუწიონ. დრო არ იცდის და, როგორც მინისტრები და სხვა საზოგადო მოღვაწენი აღნიშნავენ სახელმწიფო დაღუპვის პირას წარსდგა. გამწვავდა ომის კითხვა. გაიზარდა ფინანსური კრიზისი და დაირღვა საერთო თანამშრომლობა, ომის კითხვას მარტო უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის პრინციპის აღიარება ვერ სწყვეტს. ლაშქარში დისციპლინა დარღვეულია და იგი ხშირად უფროსების განკარგულებას არ ასრულებს.

კერენსკი აღნიშნავს, რომ ომის ჩქარა დასამთავრებლად, ამ მოკლე ხანში საჭიროა შეტევის დაწყება. ძნელი სათქმელია, მოხერხდება თუ არა ამ მომენტში შეტევაზე გადასვლა, რადგან ჯარის ,,მწყობრობის'' აღდგენა დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს.

სახელმწიფოს ფინანსური კრიზისიც მეტად საშიშ სახეს იღებს. ამჟამად სახელმწიფო მხოლოდ ქაღალდის ფულით სულდგმულობს, რომლის რაოდენობა 13 მილიარდამდე აღწევს. გარეშე და შინაური ვალი სახელმწიფოსი საგრძნობლად გადიდდა იგი 45 მილიარდს უდრის. ამ ვალის სარგებლის გადახდა წელიწადში სახელმწიფოს 6 მილიარდს სთხოვს. ამ დროს რთულდება აგრეთვე ვაჭრობამრეწველობის საქმე. მუშათა და მწარმოებელთა უთანხმოება იზრდება. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონოვალოვის გადადგომის შემდეგ უფრო გართულდა ურთიერთობა. მინისტრ კონოვალოვთან გაჰყვა ფინანსისტი ამხანაგები, რომელნიც კოალიციურ მთავრობაში მუშაობას შეუძებლად სთვლიან. ნამინისტრალი გუჩკოვი აცხადებს, რომ პროლეტარიატის უკიდურესობა რევოლუციის დროშას წუმპეში ჩააგდებს, რომელსაც ბურჟუაზია აიღებს და შესაფერად მოუვლისო.

რუსეთის ზოგ ქალაქებში ანარქია დაიწყო. კრონშტატი არ ემორჩილება კოალიციურ მთავრობას, კრასნო იარსკი და მოუკიდებელ რესპუბლიკას აცხადებს.

# მზით.

ცისფერთვალება მაისის მზე —
ვარდისფერ დილით
ლამაზ სიცილით
აყვავილდა სიცოცხლის სხივზე...
წითლად შეფოთლა დამსხვრეული
ღამის სიცხადე,
სხივთ-ოქროს ბადე
გადმოფინა ვით ფარჩეული...
ცეცხლად აენთო ყველაფერი
ცისფერ თვალებზე;
მზის ყვავილებზე
ელვარებდა ღრუბლის ნაჭერი...
თეთრი კოშკები ძვირფას თვლებით
ბროლ-ალმასობდა
და ლამაზობდა
მწვანით მოსილ შორეულ მთებით...
შემომათენდა და ნაბადი—
ღამის სიშავით
მოვიხსენ კრძალვით:
მომხიბლავი მიწვევდა ლანდი...
თან გაჰყვა ლხენით ჩემი სული—
შორეულს სიზმრებს;
ვქმნი თეთრ სიმღერებს
მაალმასებს მზით სიარული...

**ლადო მაჭავარიანი.**

# საკვირაო საუბარი.

**სტოკჰოლმის კონფერენცია და არბიტრაჟი.**

ამ დღეებში მეტად სასიამოვნო ამბავი მოგვივიდა: სტოკჰოლმში მთელი ევროპის გადემოკრატების მსასოებელთა კონფერენცია შეიკრიბებაო. ეროვნული ინტერესების წინააღმდეგობა უფრო ძლიერი აღმოჩნდება, თუ საერთაშორისო დემოკრატიის სოლიდარობა, ეგ ჯერ არ ვიცით; აგრეთვე არ ვიცით, რამდენად შესძლებს დღევანდელი რუსეთის რევოლუცია, რომ ევროპის დემოკრატიაც სარევოლუციო ფეხზე დააყენოს და ცას ქვეშეთი თუ არა, ევროპა მაინც განაახლოს და გადაახალისოს.

მაგრამ ჩვენისთანა პატარა ერებისათვის რომ კონფერენციის დასახული მიზნები ხელსაყრელია-–ეგ ეჭვს გარეშეა.

კონფერენციამ დიდი საპოლიტიკო და სოციალური ამოცანა უნდა გადასჭრას: ომიანობის და სისხლის ღვრის ჩვეულება უნდა მოსპოს; ამიერიდან, კონფერენციის აზრით ერთაშორის ურთიერთობა ძალმომრეობის პრინციპსა და მუშტი-კრივის ფილოსოფიაზე არ უნდა იქნეს აგებული:

ყოველი საერთაშორისო სადაო საქმეტერიტორის შეხებით იქნება იგი, თუ ვაჭრობა-მრეწველობის და სხ. და სხ., ყოველივე ეს არბიტრაჟმა, სამედიატორო სასამართლომ, უნდა გამოარკვიოს, გამოიძიოს და მომჩივან მოპასუხე ერი, თუ სახელმწიფო იძულებული უნდა გახდეს არბიტრაჟის გარდაწყვეტილობას უთუოდ დაუმორჩილდეს. და განა შეუძლია არ დაემორჩილოს, როცა გაძლიანებას და წინააღმდეგობას ვერ გაბედავს? ყოველს ერს იარაღი აყრილი ექნება და მეომარი ჯარი არ ეყოლება: ამას გვპირდება სტოკჰოლმის სოციალისტთა კონფერენცია.

ასეთი დიდებული მიზნების დამსახველი და მატარებელი დაწესებულების ისტორია რომ ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, მე მგონია, მეტი არ იქნება და სწორედ ამიტომ მინდა ცოტა რამე ასეთი სამსაჯულოს შესახებ მკითხველს გავუზიარო.

არბიტრაჟის განხორციელების სურვილი არ ახალია—ძველია. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო, იტყვიან ხოლმე. 50 წლის წინედ ევროპაში დიდი პოლიტიკური ურემი გადაბრუნდა და აი, როცა საფრანგეთ-გერმანეთის ომი გათავდა, 1870 წელს ძლიერ დიდი მოძრაობა დაიწყო საერთაშორისო არბიტრაჟის სასარგებლოდ; ყოველი საერთაშორისო სადაო საქმე სამედიატოროდ უნდა გამხდარიყო.

არბიტრაჟის მომხრენი მით უფრო გამხნევდენ, რომ ამერიკას და ინგლისს შორის ატეხილი დავა კრეისერ ალაბამის გამო 1872 წელს სამედიატორო სამართალმა გარდასწყვიტა და ამ გარდაწყვეტილებას ორივე მხარე დაემორჩილა. ამ ორ დიდ ერთა შორის დავის გამო იარაღი არ ხმარებულა, სისხლი არ დაღვრილა. ამან გაუორკეცა იმედი პაციფისტობას და ეს გაბედული აზრი პარლამენტების რეზოლუციად გამოიტანეს.

ამ რეზოლუციამ ინგლისის, იტალიის, ბელგეთის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, შვეციის, შეერთებული შტატების და კანადის საკანონმდებლო კრებები ჩამოიარა; 1883 წელს ეგ საკითხი საფრანგეთის დეპუტატთა პალატამაც კი გაარჩია.

ძირითადი მოტივები ასეთი მანიფესტაციებისა ადვილი მისახვედრია: ომიანობას ხომ ასი ათასობით და მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე მსხვერპლათ ეწირება. მიზეზი ომიანობისა ისაა რომ ვიღაც კერძო პირი, ჯგუფი, გინა პარტია, გინა საზოგადოებრივი კლასი ამაღლდეს, და სამაგიეროდ მეორე მოპირდაპირე დამდაბლდეს და განადგურდეს; ან ისა, რომ მოკლე ჭკუისა და წინდაუხედველმა მართებლობამ თავისი გაიტანოს, ან ის, პოლიტიკის და დიპლომატიის ხელმძღვანელი მინისტრის პრესტიჟი არ გაფუჭდეს ამა თუ იმ საზოგადოების თვალში.

აი, ამაების თავიდან ასაცილებლად საჭირო შეიქნა რაიმე საშუალების გამოძებნა.

მშვიდობისა და კაცთ-მოყვარეობის მიმდევარი მეცნიერები და ფილოსოფოსები ეძებდენ გამოენახათ მიზან შეწონილი ორგანიზაცია საერთაშორისო სამსჯავროსი, რომელსაც მუშტი-კრივის სამაგიეროდ სამშვიდობო საშუალებად გამომდგარიყო.

ასეთი სამსჯავროს პროექტი წარმოადგინა კიდეც ერთმა მეცნიერმა. ამერიკელმა მოქალაქემ „საერთაშორისო კოდექს“ში.

აი, როგორია ხსენებული მეცნიერის (დედლეი ფილდე) პროექტი:

„როცა ერთაშორის უკმაყოფილების გამომწვევი უთანხმოება და საბაბი თავს წამოჰყოფს, შეურაცხყოფილმა მხარემ ფორმალურად უნდა აუწყოს ეგე მეორე მხარეს და მიუთითოს როგორც საჩივრის საფუძველზე, აგრეთვე იმ პირობებზე, რომლის ასრულებაც საჭირო იქნება კმაყოფილების მისაღებად.

ყოველი მართებლობა, როგორც კი მიიღებს მეორისაგან განცხადებას უკმაყოფილების მიზეზთა შესახებ, ვალდებულია სამი თვის განმავლობაში სრული და სწორი პასუხი მისცეს. და თუ შეთანხმება არ მოხდება, მომჩივან-მოპასუხე ხუთ-ხუთ რჩეულ წევრს გზავნის „შეერთებულს უმაღლეს კომისიაში“, რომელმაც უნდა იმსჯელოს და არსებული უთანხმოება მოარიგოს.

მერმე კომისიის წევრებმა თავ-თავის მართებლობას დაწვრილებითი ანგარიში უნ[...] და წარუდგინონ ექვსი თვის განმავლო[...] ბაში. თუ კომისიების საშვალებით სადა[...] საქმე სამშვიდობოდ არ გათავდა, მომჩივ[...] ნები აცნობებენ სხვა სახელმწიფოებს და მაშინ შესდგება უმაღლესი სამედიატორო ტრიბუნალი შვიდი კაცისაგან. თითოეული მართებლობა უწყების მიღებიდან სა[...] მი თვის განმავლობაში ოთხ-ოთხ პირს დაუსახელებს ამ სიიდან მოდავე მხარენი რიგ-რიგობით ამოშლიან ყველას, შვიდის მეტს; ამ შვიდ რჩეულთაგან უნდა შე[...] დგეს ტრიბუნალი და ამ ტრიბუნალის გა[...] დაწყვეტილება სავალდებულო უნდა შე[...] ქნეს მოდავე მხარეთათვის!

ამ საინტერესო საგნის შესახებ ერთ[...] ინგლისელი მწერალი, შელდონ ამო[...] იმასაც კი ამტკიცებს, რომ ტრაქტატ[...] და პირობების დამრღვევი ერი და სახელ[...] მწიფო სჯულ გადამავლად უნდა იქნა[...] აღიარებული და ამისათვის მკაცრად უნ[...]

რუსეთში ჩამოვიდენ ავსტრიის პარლამენტარიები, რომელთაც მინისტრები უნდობლად უცქერიან. დრ. მმართველობა მათთან რაიმე მოლაპარიკებაზე უარს აცხადებს, მაგრამ პარლამენტარიები მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან აპირებენ ურთიერთობის დაჭერას. მდგომარეობა რთულია და კომპლიცირული.

ი. იმერელი.

# მსოფლიო ომი

პ. დ. ს.

## დეპეშები.

**დასავლეთის ასპარეზზე.**

ლონდონი. მაისის 25. ოფიციალ. ჩვენ მიერ წარმოებული ოპერაციები ჩვენდა სასარგებლოდ დამთავრდა სკარპის ჩრდილოეთ მდებარე ადგილებში. დღეს ჩვენ დავიკავეთ მტრის პოზიციები გრიმლანდის მთის დასავლეთ კალთებზე. წამოვიყვანეთ 161 ტყვე. მათ შორის 2 ოფიცერი. დღეს დილით მდ. იპრის ჩრდილო მდებარე ადგილებიდან წამოვიყვანეთ რამდენიმე ტყვე. გრძელდება საარტილერიო ბრძოლა.

პარიზი. მაისის 25 ოფიციალი გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ. მტერმა შესძლო რამდენიმე ჩვენი თხრილის ხელში ჩაგდება ფინეთის სამხრეთით.

ჰავრი. მაისის 24. ოფიციალ. გრძელდება საარტილერიო სროლა. ოსტენსტრატის და ხაძისის მიდამოებში მტერი ძლიერად გვიშენდა.

**რუმინეთის ასპარეზზე.**

პეტროგრადი. მაისის 25. ოფიცილი. რუმინეთის ასპარეზზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

**კავკასიის ასპარეზზე.**

პეტროგრადი. მაისის 25 ოფიციალი. ქურთების თავდასხმა ჩვენს სადარაჯოებზე და ტრანსპორტებზე გრძელდება.

**ეგვიპტეში**

ლონდონი. მაისის 25. ოფიციალი. გრძელდება ორივე მხრიდან საარტილერიო სროლა.

**აღმოსავლეთის ასპარეზზე.**

პეტროგრადი. მაისის 25. ოფიციალი. მდგომარეობა უცვლელია.

**მფრინავთა მოქმედება**

ლონდონი. მაისის 25. ოფიციალი. გუშინ ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს მტრის 8 აეროპლანი 8 გერმანელების აეროპლანი დავაზიანეთ. ჩვენ დავკარგეთ 7 აეროპლანი.

# რევოლუციის ამბები

(პ. დ. ს.)

## დეპეშები

**დახმარება და გაცვლა გამოცვლა ფრონტზე.**

მინსკი. მაისის 24. ორ თვეზე მეტი იქნება რაც რუსის სალდათები გერმანელებს დაუძმობილდნენ. რუსის სალდათები აწვდიან გერმანელებს პურს, საპონს და შაქარს, რომლის სამაგიეროთაც გერმანელები აძლევენ საათებს, წინდებს,— საფულეებს, სამართებელსა, და სიგარებს. საყურადღებო ის არის, რომ გერმანელები ნაკლებ ფასად ღებულობენ რუსის საქონელი და გაცვლის დროს რუსის სალდათები ფულს უთავებენ პურზე, შაქარზე და სხვაზე. საქონლის გაცვლა გამოცვლა სწარმოებს უმეტეს ნაწილად სადარაჯოებზე და რუსების თხრილებში. ამის გამო დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალმა გურკომ ბრძანება გამოსცა, რომ ჯარისკაცების ასეთი საქციელი აღარ ანმეორდეს, რადგან, ეს ხელს უწყობს, გერმანელების გაძლიერებას. გურკო იმედს გამოსთქვამს, რომ ჯარისკაცთა კომიტეტები ყურადღებას მიაქცევენ, ასეთს, დამღუპველ მოვლენას და აუკრძალავენ ამხანაგებს არა სასურველ მოქმედებას.

**გლეხთა ყრილობის დადგენილება.**

ტამბოვი. მაისის 22. საგუბერნიო გლეხთა უკანასკნელ ყრილობაზე დაადგინეს იშუამდგომლონ რათა პირველ საჭიროებათა საგნებზე გასაზღვრონ ფასები, რომელიც დაუყოვნებლივ ცხოვრებაში უნდა იქნეს გატარებული.

**ფრონტზე წასვლის უარს თქმის გამო.**

სიმბირსკი. მაისის 24. შესდგა 300 კაცისაგან რაზმი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული დაიჭიროს და დაუყოვნებლივ ფრონტზე გაგზავნონ ბუტულმინის გარნიზონის ჯარისკაცნი, რომელნიც ფრონტზე წასვლაზე უარს აცხადებენ უკვე დაიჭირეს 600 ჯარისკაცი და გაგზავნეს ფრონტზე.

**თავისუფლების სესხი.**

სიმბირსკი. მაისის. 24. თავისუფლების სესხზე ხელის მოწერამ მიაღწია 5000 მანეთამდე.

**მატარებლების დაჯახება.**

არმავირი. მაისის 24 მატარებლები ერთმანეთს დაეჯახენ დაშავდა რამდენიმე მგზავრი: მოკდა ერთი რკინის გზის მოსამსახურე.

**გლეხთა დეპუტატების დადგენილებანი.**

პეტროგრადი. მაისის 21: ყრილობაზე დაადგინეს: რომ მშრომელი გლეხობა მოითხოვს სამართლიანს ზავს. ხელი უნდა ავიღოთ სხვა ერების დამამცირებელ მისწრაფებებზე. თვითეულს ერს უნდა უფლება ჰქონდეს თავისეპურად გადაჰყვიწტოს საერთაშორისო დამოკიდებულების კითხვა. ყოველგვარი უთანხმოებანი უნდა მოსპოს საერთაშორისო სასამართლომ და არა ძალამ. გლეხთა დეპუტატების ყრილობა უარს ჰყოფს სეპერატიულ ზავს; სალამს მიუძღვნის ყველა ქვეყნის მშრომელ გლეხობას და სთხოვენ იძულონ თავიანთი მთავრობა, რათა ხელი აიღონ ანექსიაზე და კონტრიბუციაზე. გლეხთა დეპუტატების ყრილობას მოვალეობად მიაჩნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა სამშობლოს დაცვის საქმეში ყრილობა მოუწოდებს ჯარს დაემორჩილონ თავისუფალს დისციპლინას და დაიფარონ რევოლუციონური რუსეთი. მშრომელი გლეხობა არ დაივიწყებს სამშობლოსათვის მეომრებისგან დაღვრილ წმინ და სისხლს. ეს მოწოდება უნდა წაკითხულ იქმნას ყველა ჯარის ნაწილებში. ხელს აწერს: **კერენსკი.**

# უცხოეთი.

პ. დ. ს.

## დეპეშები.

**სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო.**

**პარიზი.** 24 მაისი. დიუბო ეხება სენატის ოთხი ჯგუფის თავმჯდომარეთა შეკითხვას სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ. რიბომ წინადადება შეიტანა სენატში ამ კითხვის გამოსარკვევად შეიკრიბონ ხვალ.

**კრონშტადტის ინციდენტის დასრულება.**

**პეტროგრადი.** 24 მაისი. დროებით მთავრობის 24 მაისის სხდომაზე განაცხადეს, რომ კრონშტადტის ინციდენტი დასრულებულად უნდა ჩაითვალოსო. მინ. წერეთელმა და სკობელევმა დაწვრილებით ასწერეს, თუ როგორის ძმურის განწყობილებით შეჰხვდნენ მათ კრონშტადტელები. მინისტრები მისვლისათანავე გამოელაპარაკნენ კრონშტადტის აღმასრულებელს კომიტეტს და კატეგორიულად მოითხოვეს სწორი და განსაზღვრული პასუხი შეკითხვაზე, ჰსურს თუ არა კრონშტადტს დაემორჩილოს დროებითს მთავრობას, ან რა განზრახვა აქვს. მოლაპარაკების შემდეგ გამოტანილი იქმნა რეზოლიუცია, რომელითაც კრონშტადტელები სცნობენ დროებითს მთავრობას. ესეთი განცხადება არ ჰგულისხმობს, რომ მათ შეუძლებლად მიაჩნდეთ მთელი მართვა-გამგეობა მუშათა და ჯარისკაცთა ხელში გადავიდეს. დაპატიმრებულ აფიცერთა შესახებ განაცხადეს: საჭიროა გამომძიებელ კამისიის თანამშრომლობა, რათა დამნაშავენი გადაიყვანონ პეტროგრადში, რომ მათი საქმე გამოიკვლიონო. დასასრულ, რეზოლიუცია უარჰყოფს იმ ამბებს, თითქოს დაპატიმრებულს აფიცრებს მეტად სასტიკად ეპყრობოდნენ.

# ახალი ამბავი

✦ ამიერ-კავკასიის კომისარიატის ახალი წევრი. ჩვენ გვატყობინებენ, რომ ახალი წევრი კომისარიატისა გრიგოლ ვლადიმერის-ძე უტოპი შუა ხნის კაცია, უნივერსიტეტი დაუსრულებია იურიდიულ ფაკულტეტზე პირველი ხარისხით (кандидатъ правъ) და მამული აქვს სოხუმის ოლქში, თუმცა თვითონ ქ. უფის მკვიდრი მცხოვრებია.

✦ მოხსენება. დღეს, შუადღის 12 საათზე ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სალექციო დარბაზში (ვორონცოვის ქუჩა ოცხელის შენობა) სტუდენტი ილარიონ ჟღენტი წაიკითხავს მოხსენებას, თანამედროვე მომენტის შესახებ. თანამოაზრეთ სტუდენტობას და ახალგაზრდობას ვსთხოვთ დაესწრონ.

✦ სრულიად საქართველოს სასულიერო საშუალო და პირველ დაწყებითი სასწავლებების მასწავლებელთა ყრილობა, რომელიც 23 მაისს გაიხსნა ბ-ნ ტრიფონ ჯაფარიძის მეთაურობით გუშინ 27 მაისს უკვე დასრულდა. ყრილობამ საგულისხმიერო დადგენილება გამოიტანა და აგრეთვე გაგზავნა მმართველობის წევრებთან დეპეშები, რომელიც დაწვრილებით მოთავსდება ჩვენს გაზეთში

✦ ბანკის რწმუნებულთა კრება. დღეს დაიწყება ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილ მამულო ბანკის რწმუნებულთა ყრილობა.

✦ **სტუდენტთა თათბირი.** დღეს ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში მოხდება ქართველ სტუდენტთა წინასწარი თათბირი თბილისში სრულიად საქართველოს სტუდენტა კონფერენციისთვის მოსამზადებლათ. თათბირი დაიწყება დილის 10 საათზე.

✦ **ქართველი სტუდენტთა საყურადღებოთ.** ტომსკის ქართ. სტუდენტობა მოუწოდებს ამხანაგებს-ქართ. სტუდენტებს და კურსელ ქალებს, როგორც რუსეთის, ისე საზღვარ-გარეთის უმაღლეს სასწავლებლებისას, აირჩიონ ყოველმა ათეულმა ერთი კაცი წარმომადგენლად და გაგზავნონ თბილისში მოწვეულ ქართველ სტუდენთა წარმომადგენლების კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნება ამა წლის 10 ივანობისთვეს შემდეგის პროგრამით: 1. ქართველ სტუდენტობის პოზიცია რუსეთის პოლიტიკურ მიმდინარეობაში. 2. ქართველ სტუდენტობის ორგანიზაცია 3. საქართველოს მომავალი ბედი და მაზე გადაბმული კითხვები: ა) რა ტიპის სამეცნიერო წრეები უნდა დაარსოს ქართველმა სტუდენტებმა უმაღლეს სასწავლებლებთან, რომელშიც ისინი იმყოფებიან. ბ) რა მიზანი უნდა დაისახონ ამ წრეებმა გ( ამ წრეების ორგანიზაციის გეგმის შედგენა და დამტკიცება. დ( მიმდინარე კითხვები. წარმომადგენლებს თბილისში ჩამოსვლისას წინასწარ მიმართონ რეგისტრაციისათვის და საჭირო ცნობების მისაღებად საორგანიზაციო ბიუროს, რომელიც იმყოფება დიდ-მთავრის ქუჩაზე, № 48 სახლში, ჩუბინაშვილის ბინაზე. წარმომადგენლების არჩევის უფლება ეძლევათ იმ ქალ-ვაჟთაც, რომლებმაც წელს გაათავეს საშუალო სასწავლებლები.

სოც. დემ. პარტიის წევრი ბ-ნი რაჟდენ არსენიძე ავტომბილს ქვეშ მოყოლია და დაშავებულა.

✦ დადგენილება 25 მაისს მუშათა და ჯარისკაცთა კრებამ დაადგინა ყოველგვარად ებრძოლოს ქალაქში მოსალოდნელ ექსცესებს და აკრძალოს სხვადასხვა პირთა დამოუკიდებელი გამოსვლები.

✦ თავის მოკვლა. ამ დღეებში ქ. ხარკოვში თავი მოიკლა საექიმოფაკულტეტის სტუდენტმა თეთრაძემ. თავის მოკვლის მიზეზი გამოურკვეველია.

მკვლელობა. როგორც ქუთ. გუბ. კომისარიატს ატყობინებენ, 23 მაისს ლეჩხუმის გზაზე ყაჩაღებმა მოჰკლეს ვაჭარი მირაქაძე.

✦ სახ. მასწავლებელთა შორის. 25 მაისს მოხდა დასავლეთ საქართველოს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ყრილობა, ყრილობას 250-მდე კაცი დაესწრო. გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: გადაყენებულ იქმნას საბჭოს ძველი წევრები, ეპარქიის და მაზრის მეთვალყურეები და საქმის მწარმოებელნი, რომელთა ნაცვლად, უკვე აირჩიეს სხვები.

✦ მუშათა საბჭოების დელეგატების არჩევა. ქუთაისის გუბერნიის ჯარის-კაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების წარმომადგენელთა სარაიონო ყრილობამ სრულიად რუსეთის ჯარისკაცთა და მუშათა ყრილობაზე, პეტროგრადში რომ უნდა მოხდეს, აირჩია დელეგატებად ე. გეგეჭკორი, გ. ურატაძე და კოლდმანი.

-- კრება დღეს საღამოს 7 ნახ. საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში გაიმართება დასავლეთ საქართველოს სტუდენტთა დამხმარე საზ. წევრთა წლიური ყრილობა. ყრილობაზე დასწრება ყველას შეუძლია.

-- დღეს თორმეტ საათზედ ძველი ლაგერის ქუჩაზე დანიშნულია ახალ გახსნილ ეგნატე ნინოშვილის სახელობაზე წიგნ-საც[illegible] სამკითხველოს კუთხეში. თხოვს ხსენებული გამგეობა პატივცემულ საზოგადოებას, დაესწროს.

✦ **მეფუტკრეთა განცხადება.** ქუთაისის 25 მეფუტკრე სასურსათო კომიტეტს [illegible] ტავთო.

✦ თათბირი [illegible] 26 მაისს [illegible] ქალაქის დარბევას აპირებენო. ამავე დღეს ქალაქის ბაღში თავი მოიყარა 10 ათასმა დეზერტირმა, რომლებიც მოითხოვდენ ყველა იმ პირთა შეპყრობას, რომელნიც სამხედრო ბეგარას ემალებიან და მათი ფრონტზე გაგზავნა. ასეთ ზომის წინააღმდეგ ილაპარაკა ბ-ნმა გრ. ურატაძემ და ჯარის კაცთა საბჭოს წარმომადგენლებმა გოლდმანმა ორატორები აღნიშნავდენ, რომ ასეთი საშუალება თავისუფლების წინააღმდეგია და რევოლუციას დასამარებით ემუქრებაო. ორატორებმა შესძლეს დეზერტირების დაწყნარება.

✦ 1500 პოლიციელი. ამ ბოლოდროს სამხედრო უფროსთან 1500 პოლიციელი გამოცხადდა, რომელნიც მომქმედ ჯარში უნდა გაიგზავნონ. ესენი თურმე დღემდის ხალხში და ჯარში პროვოკაციას ეწეოდენ.

— მცხოვრებთა აღწერა ამ მოკლე ხანში ქუთ. გუბერნ. კომისარიატის სარეგისტრაციო განყოფილება დაიწყებს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა საერთო აღწერას.

— გაძარცვა. ამასწინად ჰოსპიტლის ქუჩაზე გაძარცვეს ბალათურიას სავაჭრო, წაიღეს 500 მანეთი.

— გუშინ თბილისის ქუჩაზე სამტრედიის მცხოვრებს მერაბ ზენგერაძეს ჯიბიდან ამოაცალეს 400 მანეთი.

## პროვინცია.

ფოთი. ხუთშაბათს 1 ივნისს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფონდის გასაძლიერებლათ ქ. ფოთში გაიმართება ლიტერატურულ საღამო ვახშმით. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები,

მოკლე ხანში სტუდენტობასაც გადაწყვეტილი აქვს გამართო საღამო ადგილობრივ სახალხო სახლის სასარგებლოდ

✦ ძირული. მაისის პირველ დღეებში ნიკო გურულის მეთაურობით აქ გაიმართა სახალხო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა ,,დამარცხებულნი'' და ,,დაქორწინების წინააღმდეგ''. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა და საზოგადოება ბლომად დაესწრო. მოხდა ადგილობრივ მომხ. საზოგ. ,,სახალხო დუქნის'' ყრილობა. 1916 წ. მომხმარებელ საზ. 5,444 მან. 75 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა. მოხდა არჩევნები. გამგეობაში დარჩა სამი ძველი წევრი და ორი ახალი აირჩიეს. ძველი სარევიზიო კომისიის მაგივრად ახალი იქმნა არჩეული.

## თბილისი.

✦ **ქართველი მაჰმადიანები ციმბირში.** ქართველი გადასახლებულ მაჰმადიანების მდგომარეობა ციმბირში რევოლუციის პირველ დღეებში აუტანელი იყო. ყველა მათგანის საქმეზე შემდეგი წარწერა იყო:—ბრალი ედება ჯაშუშობა და პროპაგანდა ოსმალეთის სასარგებლოდ. ერთ ხანს ციმბირის ადმინისტრაცია ჰფიქრობდა განთავისუფლებას, მაგრამ პროფესორ ტელებერგის მოსვლის შემდეგ არამც თუ გაანთავისუფლეს, არამედ მათი მდგომარეობა უფრ გააუარესეს და ციხეებში ჩაამწყვდიეს. ამის გამო ტომსკის ქართველმა სტუდენტობამ კრება მოიწვია. კრებაზე მრავალი მოხსენებანი იქნა წაკითხული, სადაც მრავალი საბუთები იყო მოყვანილი მათი უდანაშაულობის შესახებ. თანვე კრებამ გულის წყრომა გამოუცხადა პროფ. ტელებერგს. კრების შემდეგ მოწვეულ იქმნა ქართველ მაჰმადინების შესახებ იურიდიული კომისია, რომელმაც აპარლები უდანაშაულოდ იცნო და გაანთავისუფლა. ამის შემდეგ კერენსკის და ჩხეიძეს შემდეგი დეპეშები გაეგზავნათ:—ადმინისტრატიული წესით გადასახლებული მაჰმადიანი ქართველობა, რომელსაც ოსმალეთის სასარგებლოდ პროპაგანდა ჰბრალდებოდათ, თხოულობენ რიაბილიტაციას და სამშობლოში დაბრუნებას. მაშინდელ იუსტიციის მინისტრ კერენსკისაგან სევსებით დამაკმაყოფილებელი დადებითი პასუხი მიიღეს მე-16-ე 33 ნომერი.

✦ ცნობანი პროვოკაციის შესახებ. ა. ჩხენკელს დეპეშით ატყობინებს ბათომის კომისარი კრინიცკი; რიზედან ჩამოვიდნენ რწმუნებულები, რომელთაც გადმოგვცეს, რომ პროვოკატორები არ სცხრებიან' მოსალოდნელია ახალი ექსცესები, დაუყონებლივ საჭიროა შესაფერისი ღონისძიებანი.

და დაისაჯოსო, და დასჯის ბრძანება ყველა განათლებულ სახელმწიფოთა კრებულისაგან უნდა გამოდიოდესო.

საგანს არ ავცილდები და ისე ვიტყვი; ეს პროექტი რომ განხორციელებულიყო და ან განხორციელდეს, საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წელს დადებულ ტრაქტატის დამრღვევლებს დასჯას გარდა ჯარიმასაც მიუსჯიდენ უთუოდ.

ეს კარგი, მაგრამ ახლა ის ვიკითხოთ, სამედიატორო სამართლის ზემოხსენებული პროექტის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა თუ არა, როცა ერთა შორის ომიანობას რაიმე დიდი და აუცილებელი მიზეზები გამოიწვევდა ისეთ სახელმწიფოთა შორის, როგორიცაა ინგლისი, გერმანეთი, რუსეთი და სხვანი.

რაღა თქმა უნდა; რომ პატარა ბელგეთს, შვეიცარიას, მთაშავეთს სერბეთს, რუმინეთს და სხვა ამისთანებს ბუმბერაზი სახელმწიფოები ადვილად აასრულებინებდენ ტრიბუნალის განჩინებას, ტრაქტატებს და პირობებს, დასჯიდენ კიდეც; მაგრამ თვით მათ შორის როცა კონფლიქტი ჩამოვარდებოდა. ვინ იქნებოდა მსაჯული და მაზავებელი? მაშინვე ხომ ხმალს ამოიღებდენ და ვინ გაუბედავდა თქმას: ჩააგე, თორემ დაისჯებიო!

შეუძლებლად იცვნეს არბიტრაჟის ხმარება შემდეგ შემთხვევაში —როცა დიდი სერიოზული მოტივებია 8 სახელმწიფოთა შორის შეტაკებისა, როცა არც ერთ მხარეს არაა აქვს სურვილი საქმის მშვიდობიანად გათავებისა, როცა სამშვიდობო კომპრომისების მაგიერ სისხლის ღვრის სურვილი წამოიჭრება. განსაკუთრებით უადგილოდ მიიჩნიეს. არბიტრაჟი იმ შემთხვევაში, როცა სადაო საგნად ტერიტორია, საერთაშორისო კავშირების გარდაქმნა, რომელიმე სამეფოთა ახალი გაძლიერება და სხვების დაშლა და დამცირება გამხდარა ხოლმე.

და მართლაც, არც ერთი ევროპის დიდი ომების შეკავება არ შეიძლებოდა სამედიატორო სამართლით, რომ კიდევაც მიღებულიყო იგი, ვითარცა საზოგადო წესი. ყირიმის ომი ევროპაში რუსეთის პოლიტიკის გაბატონებამ გამოიწვია: ევროპის სახელმწიფოებს ამ ბატონობის ბოლოს მოღება უნდოდათ. მედიატორული წესი ამას ვერ შეაჩერებდა.

ვერც ავსტრიის და პრუსიის დავას დააბოლავებდა მშვიდობიანად არბიტრაჟი, რადგანაც პრუსია დიდი საქმისთვის ემზადებოდა: პრუსიას გერმანეთის კავშირის შეკვრა უნდოდა ავსტრიის ჩაურევლად.

საფრანგეთ-გერმანეთის შეტაკების დროებით შეჩერება შეიძლებოდა მხოლოდ, მაგრამ სრულიად მოსპობა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც ორივე საბრძოლველად იყო გამზადილი. გერმანეთს ნაციონალური ინტერესები აღელვებდა, ნაპოლეონ მესამეს კი დინასტიური.

აგრეთვე უნაყოფოდ ჩაივლიდა სამედიატორო სამართლის მოღვაწეობა ოსმალეთის ძალ მომრეობის შესახებ, რომ მას ქრისტიანი ქვეშევრდომნი გაეთავისუფლებია. ამისთვის ისევ იარაღი იყო საჭირო და, მართლაც, საკმაო სისხლის ღვრის შემდეგ, მხოლოდ სან-სტეფანოს ხელ შეკრულებამ შეზღუდა ოსმალეთის ბატონობა. ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე.

ამ გვარად საერთაშორისო სამშვიდობო სასამართლოს ორგანიზაციის აზრი თან და თან დავიწყებას მიეცა. ომიანობის შესახებ კითხვას პაციფისტები მხოლოდ თეორიულად არკვევდენ. და ასე კეთილშობილმა მისწრაფებამ ფრთა ჩამოყარა.

მაგრამ დღეს, როცა ევროპას დიდი უბედურება დაატყდა თავს, როცა არც ერთი ბარბაროსობის ჟამს ასეთი მხეცობა არ მომხდარა, ახლა კვლავ აღსდგა მკვდრეთით სურვილი არბიტრაჟის შემოღებისა საერთაშორისო დავების გასარჩევად.

პაციფისტებს და ყოველს მშვიდობის მოყვარე ადამიანს უთუოდ ახლა სტოკჰოლმისკენ აქვს თვალყური მიპყრობილი, პატარა ერებიც უთუოდ დიდი სიამოვნებას გრძნობენ და კონფერენციის დასახული მიზნის წარმატებაზე ამყარებენ დიდ იმედებს, რადგანაც კონფერენციის წარმატებით მუშაობა მთელი ეროპის დემოკრატიის გამარჯვება იქნება და ეს გამარჯვება ხომ ერთა თავისუფლების დეკლარაციას გამოსცემს.

პაციფისტების მამათ-მთავარი, იდეურად რომ ვიანგარიშოთ, სწორედ ფილოსოფოსი კანტი იყო, რომელმაც ,,საუკუნო მშვიდობიანობის'' ტრაკტატი დასწერა; მას ერთი დიდი საბუთი მოჰყავდა ომიანობის მოსპობის შესახებ: მთელს ქვეყანაზე რესპუბლიკები უნდა არსებობდესო და ომის დაწყებისას მართებლობა ხალხს უნდა დაეკითხოს, გინდა თუ არა ბრძოლის ველზე გასვლა, სიკვდილი, დაღუპვა, დასახიჩრებაო. ამ კითხვაზე ყოველი ერი თავისს მთავრობას უპასუხებს: არა, არაო და ეგებ ამით მოისპოს ომიანობაო.

სტოკჰოლმის კონფერენციამ თუ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ქვეყანაზე, რომ ყველა სახელმწიფოები დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქცევის სურვილმა შეიპყრო, მაშინ უნდა მოველოდეთ, რომ ომიანობა თავს დაგვიკრავს და სახელმწიფონი და ერები იარაღს აიყრის; იარაღი მარტო არბიტრაჟის განკარგულებაში დარჩება, რათა მომჩივან-მოპასუხე სახელმწიფოთაგან მტყუანსა და ურჩს განჩინება მიაღებინოს.

მოვესწრებით კი ამ ბედნიერ დღეს მე და შენ, მკითხველო?

**სამსონ ყიფიანი.**

✦ ფრესკების გადაღება. ქალაქის გამგეობის მინდობილობით სამუნიციპალო მუზეუმისათვის, მხატვარმა შევარდენიძემ გადაიღო მცხეთის სობოროს კედლიდან ფრესკი, რომელზედაც დახატულია ვახტანგ გორგასლანი და საქართველოს პირველი მიტროპოლიტი პეტრე.

✦ სასახლის გამგედ თბილისში აღმასრულებელმა კომიტეტმა დანიშნა დ. ი. ბაქრაძე.

✦ ქალაქის არჩევნებში „დეზერტირებსაც“ შეუძლიანთ მონაწილეობის მიღება. ამის გამო საარჩევნო კომიტეტის ბიურომ სთხოვა თბილისის კომენდანტს, რომ 28 მაისამდე საარჩევნო სიებში შეიტანოს თბილისში მცხოვრები „დეზერტირები“. სიებში შეტანილი არ უნდა იქმნან შემთხვევით ფრონტიდან ანუ რომელიმე სხვა ქალაქიდან ჩამოსულები.

✦ საქალაქო არჩევნების გამო. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ: უმაღლესი ადმინისტრატორები, მილიციონერები, ბერები და სასამართლოს გადაწყვეტილებით ღირსება აყრილნი.

✦ პასპორტების მიცემის წესი. აქამდისინ პასპორტების მისაღებად თბილისის მცხოვრებნი მილიციის უფროსს მიმართავდენ ხოლმე თხოვნით. ამის შემდეგ მცხოვრებმა თავისი უბნის კომისარს უნდა მიმართოს თხოვნით, რომელიც შესაფერის ცნობებს წააწერს თხოვნას და მილიციის უფროსს წარუდგენს.

# უკანასკნელი ამბები

### ავსტრიის პარლამენტარიები რუსეთში.

„რუს. სლოვოს“ ატყობინებენ ქ. კიშენევს მოვიდენ და აქედან პეტროგრადს გაემგზავრენ ავსტრიის პარლამენტარიები.

პარლამენტარიების რიცხვში არიან 2 გენერალი, 20 ოფიცერი და 15 ჯარისკაცი. პარლამენტარიებს მინდობილი აქვთ საიდუმლო და საყურადღებო მისია. პეტრეს ქალაქში უკვე იციან პარლამენტარიების ჩამოსვლა და ზოგი მინისტრი უკიდურესად აღელვებულია. პოლიციური მთავრობა აცხადებს, რომ ავსტრიის პარლამენტარიებთან არავითარ მოლაპარაკებას არ გამართავს, რადგან ამისთვის საჭიროა მოკავშირეთა თანხმობა. მთავრობა აგრეთვე მოითხოვს გამოძიებულ იქმნას, თუ ვისი დახმარებით ჩამოვიდენ რუსეთში მოწინააღმდეგის პარლამენტარიები. დროებითი მთავრობა აგრეთვე აცხადებს, რომ პარლამენტარიებს ზავის შესახებ მოლაპარაკებას არ გაამართვინებს. და ავსტრიის პარლამენტარიები იუწყებიან, რომ ისინი მოელაპარიკებიან მუშათა საბჭოს და არა კოალიციურ მთავრობას.

### კერენსკის განცხადება.

კერენსკიმ სთქვა: ამ მოკლე დროში უნდა მოხდეს დიდი ამბები. ჩვენ უნდა დავიწყოთ შეტევა.

კრონშტადტის მცხოვრებლებმა აკრძალეს ბურჟუაზიული გაზეთების შეზიდვა კრონშტადტში.

ყოფილ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრ კონოვალოვის ამხანაგებმა და თანამგრძნობებმა სამინისტროში სამსახურს თავი დაანებეს.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად მანუილოვს ასახელებენ

მოსკოვის ვაჭრობა-მრეწველობის ყრილობაზე მუშებმა განაცხადეს, ჩვენი მოთხოვნილება მეტის მეტი არ არისო. — „თუ ბურჟუაზიული კლასი კონტრ-რევოლუციის დაწყებას შეეცდება, მაშინ ჩვენ მას მოვსპობთ ისე, როგორც ნიკოლოზი მოვსპეთო.

გუჩკოვმა სთქვა: წითელი დროშა დღევანდელ რევოლუციონერებს ტალახში ჩაუარდებათ. მაშინ ბურჟუაზიული კლასი აიღებს, მაღლა ასწევს ისე, როგორც ეს წითელ დროშას შეჰფერისო.

გამოირკვა, რომ მუშები დროებით გადიან სამხედრო მრეწველობიდან.

### სკოლის რეფორმა.

სახალხო განათლების სამინისტროში დაარსდა სახალხო სწავლა-განათლების საგანგებო სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც სკოლის რეფორმის საქმე ევალება.

### ავსტრიის საზავო პირობები

გერმანეთის გავლენიანი გაზეთები ოფიციოზურ ხასიათს აძლევენ იმ განცხადებას, რომელიც „ნოიე ფრაიე პრესსე-“ში არის მოთავსებული და რომელიც აქვე მოგვყავს:

„ტერიტორიის განაწილებაზე მეტ მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენ იმას, რომ დუნიაზე და ადრიატიკის ზღვაზე უზრუნველ ყოფილი გვექმნეს თავისუფალი გემთა მიმოსვლა. ჩვენ ვერაფრის გულისათვის ვერ შეურიგდებით იმ აზრს, რომ ჩვენი გიბრალტარ-ლოვჩენი, ჩვენს გარდა დარჩეს ვინმეს. დუნაიზე თავისუფალ მიმოსვლასთან არის დაკავშირებული ჩვენი ეკონომიური კეთილ-დღეობა, რადგან ამით რამდენიმე ასეულ მილიონს ვინახავთ, რომელიც ნაპირების თავდაცვისათვის დაგვეხარჯება. ალბანია თავისუფალი უნდა იქნეს, ხოლო ადრიატიკის ზღვა და დუნაი ყველასათვის მისადგომი“.

# ეროვნული კითხვა.

### ავსტრიელ პოლონელთა პოზიცია.

ვენიდან იტყობინებიან: კრაკოვში შესდგა რეიხსრატისა და სეიმის პოლონელ წევრთა კონფერენცია, რომელმაც მხარი დაუჭირა პოლონურ კლუბის გადაწყვეტილებას, რომ რეიხსრატში მხარი არ დაუჭირონ მთავრობას. შემდეგ მიღებულ იქნა დაშინსკის წინადადება, რომ პოლონელებმა ითაონ რეიხსრატში ზავის სასარგებლო მანიფესტაციის მოწყობა, რის თვისაც დროზე დაიჭირონ დამოკიდებულება სხვა პარტიებთან. ამ კონფერენციის გამო კრაკოვში მოხდა ეროვნული მანიფესტაციები, რომლის დროსაც პოლონურ სიმღერებს ასრულებდნენ. წესრიგი არსად დარღვეულა.

### პოლონეთის სახელმწიფოთა საბჭოს გაფიცვა.

ლოზანის პოლონეთის სააგენტოს ვარშავიდან მოსული ცნობით, იქაურ სახელმწიფო საბჭოს დაუდგენია თავისი ფუნქციათა აღსრულების შეწყვეტა, ვიდრე ცენტრალ სახელმწიფოებისაგან მიიღებდეს პასუხს მის მიერ გამოთქმულ სურვილების შესახებ. ამავე დროს დატუყვევებიათ გალიციის სოციალისტების დეპუტატი—პოლონურ ლეგიონების ლეიტენანტი მორაშევსკი და სახელმწიფო საბჭოს მოხელე ფილიპოვიჩი.

### უკრაინელთა ქვეითი პოლკი

სამხედრო მინისტრმა ჯარის უმაღლეს მთავარსარდალთან შეთანხმებით შესაძლებლად სცნა კიევის სამხედრო ოლქში უკრაინელთა ქვეითი პოლკის შედგენა.

### პოლონელი სოციალისტები მონარქიას ემხრობიან

ცნობილი სოციალისტი ლიუდვიგ კულჩინსკის, ვარშავის გაზეთ „გლოს“-ში დაუფარავად ემხრობა მონარქიას —სწერს იგი—უფრო მეტს გარანტიას გვაძლევს დამოუკიდებლობისას ვიდრე რესპუბლიკაო. მხოლოდ მეფეს ძალუძს შეასრულოს პოლონეთის მთავრის ვალდებულება. მემკვიდრეობითი კონსტიტუციონური მონარქია უფრო მტკიცედ ეკავშირება სამეფოს, უფრო მეტსა ზრუნავს მისთვის, უფრო ნაკლებადა ჰფლანგავს სახელმწიფო ფულს ვიდრე რომელიმე პრეზიდენტი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ტანჯვა-ვაების შემდეგ ძლივს მიაღწევს ხოლმე უფლებას და სდილობს გამოიყენოს იგი უფლება თავისი თავისა და ნათესავების საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ... გერმანეთში პრუსია'ში, ავსტრო-ჰუნგრეთში კონსტიტუციონური მმართველობაა და არა პარლამენტური. რასაკვირველია, ამგვარს მმართველობას ნაკლიცა აქვს და ბევრი ღირსებაცა — მათი მოქმედება უფრო ძლიერი და ენერგიულია და იგი უფრო ხშირად ანხორციელებს საჭირო, თუმცა არა პოპულიარ რეფორმებს—ამას კი პარლამენტარული მმართველობა თავის დღეში ვერ იზამსო.

# სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო.

### საფრანგეთის დელეგატები

„ფორვერტსი“ სწერს: საფრანგეთის ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილება, გაგზავნოს სტოკჰოლმის კონფერენციაზე თავისი დელეგატები, პირველი დიდი გამარჯვებით ზავის იდეის დასავლეთით. ეს ფრანგ სოციალისტების წყალობით მოხდა“.

### ავსტრიის დელეგატების განცხადება:

ჰოლლანდიისა და სკანდინავიის კომიტეტს ავსტრიის დელეგაციამ განუცხადა რომ. 1) ის მომხრეა უანექსიო ზავისა. 2) ობიექტიურად ყველა მთავრობამ უნდა პასუხი აგოს ამ ომის დაწყებაში და მიემხროს საყოველთაო ზავის უკონტრიბუციოდ ჩამოგდებას. 3) რაც შეეხება ეროვნულ კითხვებს, ის ბელგიის ანექსიის წინააღმდეგია და სერბეთის დამოუკიდებლობის მომხრე. სერბეთმა მთაშავეთთან ერთებით უნდა ზღვისაკენ გზა მოიპოოს. ბალკანეთის სახელმწიფოებმა ურთიერთშორის დამოკიდებულებითა მოსაგვარებლად უნდა შეთანხმდნენ, რათა განახორციელონ ლოზუნგი: ბალკანეთი-ბალკანეთის ერებს.

სამხრეთ-სლავური ოლქები და ავსტრიის სლუფლისწულო ადგილები ბოსნიასთან ერთად, ავსტრიის სამონარქოს ფარგლებში უნდა დარჩეს. მაგრამ, აცხადებს დელეგაცია, სოციალისტებმა მხარი უნდა დაუჭირონ იქ მცხოვრებთა ავტონომიურ მისწრაფებათო.

4) ფინეთმა და რუსეთის პოლონეთმა დამოუკიდებლობა უნდა მიიღონ. გალიციისა და პრუსიის პოლონელებმა, აგრეთვე რუსინებმაც. ავსტრიასა და გერმანეთის იმპერიათა საზღვრებში სრული ავტონომია უნდა მიიღონ. პოლონეთის კითხვის სავსებით გადაწყვეტა ცენტრალ სახელმწიფოთა შეთანხმებულმა მოქმედებამ უნდა იკისროს რუსეთის პოლონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებით.

5) შესახებ იმისა, რომ ამ ომმა ავსტრიის პატარა ერებიც უნდა გაათავისუფლოს, დელეგაციამ განაცხადა, რომ ავსტრიის მონარქია ხელს შეუწყობს პატარა ეროვნებათა არსებობას.

საზავო ხელშეკრულების უმთავრეს პუნქტებად ჩაითვლება კითხვები: ეკონომიური და საერთაშორისო უფლების ნორმების განვითარება, თავისუფალი ვაჭრობის ზღვაზე და ხმელეთზე აღდგენა, პროტექციონულ სისტემის შემსუბუქება და კოლონიებთან კავშირის დაჭერის თავისუფლება. საერთაშორისო ადმინისტრაციის დაარსება საზღვაო გზებისა და საოკეანთა შორისო არხებისათვის და ახალი რკინის გზების გაყვანა ყველა სახელმწიფოთა შემწეობითა და ზედამხედველობით უნდა ხდებოდეს.

დელეგაცია პროტესტს აცხადებს იმ ეკონომიურ გაბატონების სურვილის წინააღმდეგ, რომელიც პარიზის 1916 წლის კონფერენციამ გამოიჩინა და იმ აზრისაა, რომ წინააღმდეგობა არ უნდა გაეწიოს სადამოენო კავშირების დაარსებას, იმ შემთხვევათა გამონაკლისით, როდესაც ეს ვაჭრობის თავისუფალ ზრდას ხელს შეუშლის. საზავო ხელშეკრულებაში ის აყოველთაო დადგენილებანიცა უნდა შედიოდენ, რომელსაც პროფესიონალ კავშირების საერთაშორისო კონგრესების შეიმუშავებს.

6) აღკრძალულ უნდა იქნას გემების გატაცება, სავაჭრო გემთა შეიარაღება, უნდა გაუქმდეს საპრიზო უფლება, შეიზღუდოს ცნება „კონტრაბანდა“, თავისუფალი ზღვის რამოდენიმე ნაწილი სამხედრო მოქმედების ასპარეზად არ უნდა იქცეს, უნდა შემცირდეს ის საომარი საშუალებანი, რომელსაც მიმართავენ ხოლმე საზღვაო და საჰაერო ბრძოლის დროს.

დელეგაციის მოთხოვნები ერთ გვარ გაგრძელებაა ჰააგის კონფერენციის დადგენილებებისა სრულს იარაღის აყრამდის უნდა შემცირდეს შეიარაღება როგორც ზღვით, ისე ხმელეთით. სამხედრო წარმოება თუ კი ეს საჭირო გახდება ჰომავლისათვის, სახელმწიფოს მონოპოლიად უნდა იქცეს, საჭიროა მხოლოდ ეროვნული მილიცია საკუთარი ტერიტორიის დაცვისათვის. ავსტრიის დელეგაცია მოითხოვს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას და აუცილებლად სცნობს, რომ ამ კონფერენციასაც ყველა ქვეყნის სოციალისტები დაესწრონ. დელეგაცია დარწმუნებულია, რომ სხვა ქვეყნების სოციალისტებიც იმავე აზრისა და შეხედულების იქნებიან, როგორც თვითონ არიან. საჭიროდ სცნობს, რომ კონფერენციას უმრავლესობასთან ერთად უმცირესობაც დაესწროს.

ჩეხეთის, პოლონეთისა და ბოსნიის სოციალისტები მაშინ გაარკვევენ თავიანთ პოზიციას, როცა მონათესავე ფრაქციებთან სპეციალ კითხვების გამო მოილაპარაკებენ.

### შეიდემანის საიდუმლო მოქმედება.

გამოირკვა, რომ შეიდემანი რამოდენიმე ხანია რაც კოპენჰაგენში იმყოფება. მის იქ საიდუმლო ყოფნამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პოლიტიკურ წრეებში. მას თვითონ უთქვამს, რომ უნაყოფოდ არ ჩაუვლია მის იქ ყოფნას და მოლაპარაკებაც გაუმართავს. შეიდემანი თურმე წინედაც ყოფილა საიდუმლოთ იქ ყოველი მისი ნაბიჯი ჯერჯერობით საიდუმლოებით არის მოცული.

### ელზას-ლოთრენი და გერმანეთის სოც.-დემ.

სოც.-დემ. მოლკენბურგს უთქვამს, ელზას-ლორენი ეკონომიურად გერმანეთთანაა დაკავშირებული და ამიტომ მისი გერმანეთისაგან ჩამოშორება შეუძლებელიაო. ის საბუთიც მოჰყავს მას, რომ ოდესმე საფრანგეთზე წინედა გერმანეთი ჰფლობდა ელზას-ლორენს. გერმანელი დელეგატები თუმც კი იცავენ საზოგადოდ უანექსიო ზავს, მაგრამ საზღვრების გონივრულ შესწორებას არ უარჰყოფენ. კონკრეტულად კი ამის შესახებ ჯერ არას ამბობენ, თუმცა ამ გზით მოლაპარაკების გამართვას კი ემხრობიან.

### სალამი მუშათა საბჭოს.

ავსტრიის გერმანელ სოციალისტ-დეპუტატების კლუბმა სალამი უძღვნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რომელიც ზავის და დემოკრატიის გამარჯვებისათვის იბრძვის. კლუბი ემხრობა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მოთხოვნას.

# მამა ონოფრე შუშანია.

მამა ონოფრე შუშანიას ღვაწლის ფართო ქართველი საზოგადოება ვერ იცნობდა. ქუთაისის სასულიერო სემინარიაში მისმა სამსახურმა ამ ღირსეული ბერის ვინაობა სავსებით დაგვანახვა.

მამა ონოფრე შუშანია, მიუხედავად მისი ახალგაზრდობისა, სულ ბევრი ოცდა ათი წლის თუ იქნება, ფრიად განვითარებული და განათლებული კაცია.

მეცნიერების ყველა დარგიდან, როგორც მისი მსჯელობიდან სჩანს მას საკმაოზე მეტი ცოდნა აქვს შეძენილი განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მისი ნათელი შეხედულობა სარწმუნოების სფეროში. იყავით სრული, სპეტაკი და წმინდა, ფაქიზი და ლამაზი ვითარცა ზეციერი მამა არს—აი მისი სარწმუნოების ქვა-კუთხედის დებულება. ცხლანდელმა ქუთაისურმა საშუალო სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლების თვალყურობამ ხომ სულ სავსებით დაგვანახვა მამა ონოფრე შუშანიას ღირსეულად მომზადება. მისი დინჯი, და ლოღიკურად შედგენილი მოხსენებები მასწავლებლების უმრავლესობამ ღირსეულად დააფასა. მოწინააღმდეგეებს ოპონენტებსკი ისეთი საფუძვლიანი პასუხები გასცა, რომ ვერც ერთმა მის კრიტიკას ვერ გაუძლო. მე პირადად, საჯაროდ, ბოდიშს ვიხდი ამ სასარგებლო ადამიანის წინაშე, რომ ყოფილი ზედამხედველის ხოლმსკის სამსახურის უკანასკნელ ჟამს, ქ. ქუთაისში, გაზეთ „სამშობლოში“ შეუფერებლად მომიხდა ამ ახალგაზრდა და ფრიად განათლებული ბერის დახასიათება.

მ. ბუაჩიძე.

# რუსეთი.

### სასკოლო ყრილობა.

ამ მოკლე დროში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და სახალხო განათლების მინისტრ მანუილოვთან შეთანხმებით მოწვეულ იქნება სრულიად რუსეთის სახალხო განათლების კითხვაზე სათათბირო ყრილობა. ყრილობას აზრად აქვს საყოველთაო და სავალდებულო სწავლა ახლავე დაწესდეს.

### დამფუძნებელი კრება.

ამ ჟამად დაჟინებით მოითხოვენ დამფუძნებელ კრების საჩქაროდ მოწვევას კოალიციურ მთავრობას 25 ქალაქიდან მოუვიდა რეზოლუცია, (მათშორის თბილისიც არის). ამ ქალაქების მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები აღნიშნავენ სახელმწიფოს ძნელ მდგომარეობას და მოითხოვე რევოლუციის ანარქიისაგან დასახსნელად საჩქაროდ მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება.

### „სამხედრო აფიშა“.

მთავარმა შტაბმა 18 მაისიდან განსაკუთრებული სამხედრო აფიშაში დასტამბულია ჯარისადმი დისციპლინის აღსადგენად მოწოდება. აფიშის მიზანია მთავარ შტაბის და ჯარის შორის სალ ურთიერთობის განმტკიცება.

### შეკითხვა საფრანგეთის შტაბს.

გაზ. „რუსკაია ვოლია“-ში ცნობა იყო მოთავსებული, რომ საფრანგეთში მყოფი რუსის ჯარი საფრანგეთის სარდლობამ ბრძოლის პირიდან მოხსნა, რადგან ჯარში დემორალიზაცია დაიწყო. ამის გამო რუსეთის სამხედრო მთავრობამ შეკითხვით მიმართა პეტროგრადში მყოფ საფრანგეთის სამხედრო ატაშეს და საფრანგეთის რესპუბლიკას.

### ფრონტის ჯარისკაცთა ჩივილი.

პეტრეს ქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოქმედ ჯარიდან შემდეგი საჩივარი მოუვიდა. ჯარისკაცები იჩივიან, რომ ზურგს უკან, ჯარისკაცები მეტად განებივრდენ, [illegible] ობენ, სამხედრო მეცადინეობაზე არ დაიარებიან იმ დროს, როდესაც თხრილებში მყოფი ჯარისკაცები ფეხშიშველა და მშიერ-მწყურვალნი არიან. ჯარისკაცები მოითხოვნენ ჯარისკაცთა მდგომარეობის გაუმჯობესება თანასწორად მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პოზიციების მიტოვებით იმუქრებიან.

### პოლიციელები და ჟანდარმები ფრონტზე.

სამხრეთის ჯარის ერთ-ერთ კორპუსის აღმასრულებელი კომიტეტი პეტრეს ქალაქის მუშათა საბჭოს აცნობებს, რომ მომქმედ ჯარში გამოგზავნილი პოლიციელები და ჟანდარმები ლაშქარში პროვაკაციას ეწევიან, ჯარში არევ დარევა შეაქვთ და მონარქიზმის სასარგებლოდ ქადაგობენო. ასეთი ცნობები მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს სხვა ასპარეზებიდანაც მოუვიდა.

# მადლობის გამოცხადება.

ქუთაისის ღარიბ ბავშთათვის მზრუნველი საზოგადოების გამგეობა ულრმეს მადლობასა სწირავს სურფუი მარდინის ასულს და მიხრან ალექსანდრეს ძეს ანანოვებს, რომელთაც ხსენებულ საზოგადოებას 500 მანეთი შემოსწირეს გარდაცვალებულის აბგარ ალექსანდრეს ძის ანანოვის სახსოვრად და მიხრან ალექსანდრეს ძეს ანანოვს, რომელმაც 250 მან. შემოსწირა თავისი მიცვალებული შვილის დავითის სახსოვრად.

მდივანი საზოგადოებისა **დ. ა. მანუილოვი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ბ. კვირკელია.**


# ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$ — 2 საათ. საღამოს 6 — 8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

### მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.


# რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — ღლისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| შაურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელის სახლი, ქუთაისში